



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ექსანიშვილი ელენორა გრიგოლის ასული

ექსანიშვილი ელენორა გრიგოლის ასული (11. II. 1919, თბილისი, – 5. I. 2003, იქვე), კომპოზიტორი, პედაგოგი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). 1940 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვ. ფორტეპიანოსა (ხელმძღვ. ა. თულაშვილი) და კომპოზიციის (ხელმძღვ. ი. რიაზანოვი და ა. ბალანჩივაძე) განხრით. 1944-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში, 1973-იდან პროფესორი (სპეც. ფორტეპიანოს კათედრა). 1973 განათლების სამინისტროსთან გაიხსნა საქართველოში პირველი ექსპერ. სამუსიკო სკოლა-სტუდია, რ-იც ფუნქციონირებს ე-ის მეთოდით. 1944-იდან საქართველო. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი. ე. ავტორია მრავალი მუს. ნაწარმოებისა, მ. შ. აღსანიშნავია: „გასეირნება“ („ტყის მეგობრები“, ერთაქტიანი საბავშვო ოპერა, 1961), პრელუდია და ეტიუდი ფორტეპიანოსათვის (1939), კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის N1 (1944), N2 (1955), სიმებიანი კვარტეტი N1 (1944), N2 (1942), საფორტეპიანო კვინტეტი (1945), სონატინა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1981), სიმღერები, თეატრის მუსიკა და სხვ. ე. ავტორია მეთოდური ნაშრომებისა, აგრეთვე სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი სტატიებისა.
